საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 30 იანვარი**

დისციპლინური საქმე №24/21
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2021 წლის 11 მარტის №24 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 16 მარტის №83/24-03 წერილით, მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 27 აპრილის №24/21 გადაწყვეტილებით, -- -- 2021 წლის 11 მარტის №24 საჩივარზე ნაწილობრივ შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების ნაწილში.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 28 აპრილის №24/21 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით:
1.1. მოსამართლემ არაერთხელ მიაყენა შეურაცხყოფა ბრალდებულს, მის ადვოკატებს და მთელ ადვოკატთა კორპუსს (ბრალდებულის მიერ დაცვის უფლების გამოყენების დროს ყვირილით იკითხა თუ რისთვის ჰყავდა ადვოკატები). აცილების შუამდგომლობის დაყენებისას მოსამართლე გამოირჩეოდა აგრესიულობით, ყვიროდა და ბრალდებულს არ აძლევდა აზრის დასრულების საშუალებას, ემუქრებოდა დარბაზიდან გაძევებით და ამ მიზნით დაუძახა მანდატურებს.

1.2. აღკვეთ ღონისძიებაზე მსჯელობისას მოსამართლე პირდაპირ დაეხმარა პროკურორს აზრის ჩამოყალიბებაში და ახალი ფაქტობრივი გარემოებების შექმნაში.

1.3. მოსამართლემ არ განაცხადა თვითაცილება.

1.4. საჩივრის ავტორის განცხადებით, დაცვის მხარის მიერ დაყენებული აცილების გადასაწყვეტად გავიდა სათათბირო ოთახში და ერთსაათიანი ლოდინის შემდეგ სასამართლო სხდომა გადადო გაურკვეველი ვადით. მოსამართლე დიდხანს უნდება დაცვის მხარის შუამდგომლობების განხილვას,

ექვსი თვის განმავლობაში მოსამართლეს არცერთი შუამდგომლობა არ აქვს გადაწყვეტილი. ყოველი შუამდგომლობის დაყენებისასა, მოსამართლე შუამდგომლობის გადაწყვეტის ნაცვლად დებს სხდომას გაურკვეველი დროით და აჭიანურებს მათ განხილვა-გადაწყვეტას.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

ბრალდებულ -- -- მიმართ არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე 2020 წლის 26 აგვისტოს -- -- სასამართლოში ჩატარდა ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომა. ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო -- ლარის ოდენობით. წინასასამართლო სხდომის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 5 ოქტომბერი, 16:00 საათი.

2020 წლის 28 აგვისტოს სს საქმე წინასასამართლო სხდომაზე განსახილველად დაეწერა მოსამართლე -- --.

მოსამართლე -- -- მიერ წინასასამართლო სხდომები ჩატარდა: 2020 წლის 5 ოქტომბერს, 2020 წლის 26 ოქტომბერს, 2020 წლის 26 ნოემბერს, 2020 წლის 2 დეკემბერს, 2020 წლის 14 დეკემბერს, 2020 წლის 22 დეკემბერს, 2020 წლის 29 დეკემბერს, 2021 წლის 21 იანვარს, 2021 წლის 11 მარტს, 2021 წლის 19 მარტს.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით -- -- 2021 წლის 11 მარტის №24 საჩივარზე შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, მოსამართლის მიერ აღკვეთის ღონისძიების ძალაში დატოვების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების მოთხოვნის ნაწილში.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 15 მარტის დასკვნა:

-- -- 2021 წლის 11 მარტის №24 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ საჩივრის, განცხადების ან სხვა ინფორმაციის საფუძვლიანობის შემოწმებისას ეყრდნობა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს.

4.1. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ არაერთხელ მიაყენა შეურაცხყოფა ბრალდებულს, მის ადვოკატებს და მთელ ადვოკატთა კორპუსს. მოსამართლე გამოირჩეოდა აგრესიულობით, ყვიროდა და ბრალდებულს არ აძლევდა აზრის დასრულების საშუალებას, ემუქრებოდა დარბაზიდან გაძევებით და ამ მიზნით დაუძახა მანდატურებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომად ჩაითვლება ქმედება, როდესაც ადგილი აქვს

მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობას.

იმისათვის, რომ შეფასდეს მოსამართლის ქმედების მართლზომიერება, საჭიროა განხილულ იქნას საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოსამართლის ქცევის ნორმატიული საფუძვლები.

ბანგალორის პრინციპების მიხედვით მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს წესრიგი და ეტიკეტი სასამართლოში მიმდინარე ყველა სხდომაზე, იყოს მომთმენი, ღირსეული და თავაზიანი მხარეების, მსაჯულთა, მოწმეების, ადვოკატების და სხვათა მიმართ, რომელთანაც უწევს ურთიერთობა ოფიციალური სტატუსით. მოსამართლემ მსგავსი ქცევა უნდა მოსთხოვოს მხარეთა წარმომადგენლებს, სასამართლო პერსონალს და სხვებს რომლებიც ექვემდებარებიან მოსამართლის ზეგავლენას, ხელმძღვანელობას ან კონტროლს.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნაში აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი, სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი.

მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში სამოსამართლო ქცევის ნორმების დაცვა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს სასამართლოსადმი ნდობის და სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის განმტკიცების თვალსაზრისით.

საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების მე-17 მუხლის თანახმად, მოსამართლემ საჯაროდ არ უნდა გამოხატავდეს უარყოფით აზრს ან შეხედულებას სხვა მოსამართლისა და კოლეგის პროფესიონალიზმსა თუ პირად თვისებებზე ამავე ეთიკის წესების 28-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნული მუხლის არსებობა საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესებში კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ მოსამართლე სანდომიანად, თავაზიანად და ღირსებით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებს. მოსამართლის მხრიდან მსგავსი ქცევა პროცესის მონაწილეებს განაწყობს კეთილად და ნდობით, არა მარტო ამ მოსამართლის, არამედ მთელი მართლმსაჯულების პროცესის მიმართ.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2020 წლის 26 ნოემბრის სხდომაზე მოსამართლემ ბრალდების მხარის მიერ დაყენებულ შუამდგომლობაზე მსჯელობისას დაცვის მხარეს მისცა შესაძლებლობა აზრი დაეფიქსირებინა. ვინაიდან, აზრის დაფიქსირებისას ბრალდებული საუბრობდა ზოგადად, მოსამართლემ ადვოკატებს მიმართა შემდეგი სიტყვებით: - ეს ადვოკატები თუ ტყუილად გყავთ, ბოდიშს ვიხდი პატივისცემას გამოვხატავ. ადვოკატებს ვეკითხები, ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა თქვენი მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის თაობაზე, გაეცით პასუხი, თუ არ გსურთ არ გასცეთ.

-- -- ბრალდების სისხლის სამართლის საქმის 2020 წლის 2 დეკემბრის წინასასამართლო სხდომაზე, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლემ განიხილა აღკვეთი ღონისძიების ძალაში დატოვების შუამდგომლობა, მან განუმარტა -- --, რომ არ ახდენდა პირველი წარდგენის მოსამართლის მიერ აღკვეთ ღონისძიებაზე მიღებული გადაწყვეტილების რევიზიას, დაასაბუთა გირაოს ძალაში დატოვების

გადაწყვეტილება, მაგრამ ბრალდებული კვლავ აგრძელებდა აღკვეთ ღონისძიებაზე საუბარს, რასაც მოჰყვა მოსამართლის კომენტარი: პირველად ვნახე, რომ გირაოს გაუქმებას ითხოვდეს ბრალდებული.

2020 წლის 22 დეკემბრის წინასასამართლო სხდომის ოქმის ვიდეოჩანაწერის შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი ფაქტი:

დაცვის მხარემ დააყენა მოსამართლის აცილების შუამდგომლობა, ვინაიდან აღკვეთ ღონისძიებაზე მსჯელობისას მოსამართლე პირდაპირ დაეხმარა პროკურორს აზრის ჩამოყალიბებაში და ახალი ფაქტობრივი გარემოებების შექმნაში.

აცილების შუამდგომლობაზე მსჯელობისას **ბრალდებულმა განაცხადა**: - სხვა ბრალდებულები პატიმრობაში არიან და მე მათ უნდა შევედარო? ეს მათი საქმეა;

მოსამართლე: თქვენ ხართ თანასწორი ყველა ბრალდებულთან, თქვენ წერთ, რომ გაეროში მუშაობდით... ეს არ გაძლევთ არავითარ პრივილეგიას, ჩემთვის ყველა ბრალდებული თანასწორია... დააყენეთ შუამდგომლობა... არ მცალია სხვა პროცესებიც გვაქვს;

ბრალდებული: მაგაშიც ვერ დაგეთანხმებით, რომ სხვა პროცესები გაქვთ;

მოსამართლე: ნუ წარმოგიდგენიათ, რომ თქვენ ვიღაც განსაკუთრებული პიროვნება ბრძანდებით, ვინ გგონიათ თქვენი თავი;

ბრალდებული: უკვე ვხედავ, რომ ჩვენ შორის მიმდინარეობს პოლემიკა, კონფლიქტი და თუ ასე გააგრძელებთ... გააგრძელეთ, თქვენი ნებაა.

მოსამართლე -- -- არაერთხელ მოუწოდა ბრალდებულს დაეყენებინა შუამდგომლობა და ესაუბრა მხოლოდ დაყენებული შუამდგომლობის ირგვლივ. მისცა შენიშვნა სასამართლო მითითების შეუსრულებლობისა და სასამართლოს უპატივცემულობისათვის და გააფრთხილა, რომ განმეორების შემთხვევაში გააძევებდა დარბაზიდან. სიტყვები „დარბაზიდან გაგაძევებ“ ასევე უპატივცემულობის გამოხატვად ჩათვალა ბრალდებულმა თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სსს კოდექსის 85-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სასამართლოში საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევისათვის და ამავე მუხლის მე-2 პუნქტში ნათქვამია, რომ „პროცესის მონაწილის ან/და სასამართლო სხდომაზე დამსწრის მიერ სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე ზეპირ შენიშვნას აძლევს მას და მოუწოდებს, შეწყვიტოს არასათანადო ქცევა. აღნიშნული მოწოდებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება პირის დაჯარიმების ან/და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ“. ამდენად, როდესაც მოსამართლე ბრალდებულს მოუწოდებდა წესრიგის დაცვისაკენ და აფრთხილებდა დარბაზიდან გაძევებაზე, მოქმედებდა საპროცესო ნორმების შესაბამისად.

საჩივარში აღნიშნულია, რომ მოსამართლემ არაერთხელ მიაყენა შეურაცხყოფა ბრალდებულს, მის ადვოკატებს და მთელ ადვოკატთა კორპუსს. აცილების შუამდგომლობის დაყენებისას მოსამართლე გამოირჩეოდა აგრესიულობით, ყვიროდა და ბრალდებულს არ აძლევდა აზრის დასრულების საშუალებას, ემუქრებოდა დარბაზიდან გაძევებით და ამ მიზნით დაუძახა მანდატურებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არსებული მოცემულობა ამგვარი ობიექტური აღქმის შესაძლებლობას არ იძლევა. კერძოდ, ის გარემოებები და საერთო ფონი, რასთან დაკავშირებითაც სასამართლომ გააკეთა სადავო განცხადებები, არ ქმნის იმ დასკვნის საფუძველს, რომ ან განზრახვა, ან სურვილი ჰქონდა მოსამართლეს მხარისთვის მიეყენებინა შეურაცხყოფა. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს განმარტებას წინ უსწრებდა დაცვის მხარის უკმაყოფილო კომენტარი, რის შემდეგაც სასამართლო პასუხობდა განცხადებას. ამასთან, სასამართლო სხდომის აუდიოჩანაწერის თანახმად, მოსამართლე საუბრობდა მართალია რიგ შემთხვევაში ხმამაღლა, თუმცა არა შეურაცხმყოფელი ფორმით. შეურაცხმყოფელი კონტექსტი, ამგვარი სიტყვები და საუბრის ტონი, არაკორექტული ქცევის გამოვლენის მნიშვნელოვანი კრიტერიუმებია, რაც კონკრეტულ შემთხვევაში არ დასტურდება.

4.2. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, აღკვეთ ღონისძიებაზე მსჯელობისას მოსამართლე პირდაპირ დაეხმარა პროკურორს აზრის ჩამოყალიბებაში და ახალი ფაქტობრივი გარემოებების შექმნაში.

სსსკ-ის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო ვალდებულია მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა. ამავე მუხლის მე-2 მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა. მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეების კომპეტენციაა. მოსამართლე უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევაში მხარეებთან შეთანხმების შედეგად დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად.

როგორც 2020 წლის 2 დეკემბრის სხდომის ოქმის ვიდეოჩანაწერიდან ირკვევა, აღნიშნული შუამდგომლობის განხილვისას, მოსამართლე -- -- მიერ დაცული იყო შეჯიბრობითობის პრინციპი და მოსამართლემ ორივე მხარეს პოზიციის ჩამოყალიბების თანაბარი შესაძლებლობა მისცა.

4.3. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე -- -- უნდა განეცხადებინა თვითაცილება, ვინაიდან მოსამართლე ბრალდებულთან შევიდა კონფლიქტში, არაერთხელ მიაყენა შეურაცხყოფა ადვოკატებს, აღკვეთ ღონისძიებაზე მსჯელობისას, იმის მაგივრად, რომ მოსამართლეს ემსჯელა იმაზე თუ რამდენად კანონიერად იქნა შეფარდებული გირაო, მოსამართლემ დაარღვია შეჯიბრობითობის პრინციპი და პირდაპირ დაეხმარა პროკურორს აზრის ჩამოყალიბებაში, ახალი ფაქტობრივი გარემოებების შექმნაში. მოსამართლემ, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა დასაბუთებული ვარაუდისათვის საკმარისი მტიცებულებათა ერთობლიობა, მიიღო უკანონო გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების ძალაში დატოვების შესახებ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმა, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი.

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების მიხედვით, „მოსამართლემ უნდა აიცილოს საქმე ისეთ შემთხვევებში, როდესაც მას არ შესწევს უნარი საქმე განიხილოს მიუკერძოებლად ან როდესაც გონიერ დამკვირვებელს შეიძლება მოეჩვენოს, რომ მოსამართლეს არ შესწევს საქმის მიუკერძოებლად განხილვის უნარი“. (3.1) „მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს რომ მისი საქციელი გონიერი დამკვირვებლის თვალში იყოს უმწიკვლო“. ამასთან, (3.2) „მოსამართლის ქცევამ და მოქმედებამ უნდა განამტკიცოს საზოგადოების ნდობა სასამართლოს შეუვალობის მიმართ. მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ უნდა გამოჩნდეს როგორც აღსრულებული“.

სასამართლოს მიერ საქმის მიუკერძოებლად განხილვის პრინციპი და შესაბამისად, გარკვეული წინაპირობების არსებობისას საქმის აცილების ვალდებულება წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გარანტირებული სამართლიანი სასამართლო უფლების შემადგენელ ელემენტსაც. მიუკერძოებლობა როგორ წესი ნიშნავს საქმისადმი წინასწარ დაინტერესებისა და ტენდენციურობის გამორიცხვას და იგი ფასდება სუბიექტური და ობიექტური ტესტის მიხედვით. სუბიექტური ტესტით შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს კონკრეტული მოსამართლის პიროვნულ ქცევასა და მრწამსს, ანუ რამდენად აქვს მოსამართლეს პირადი დაინტერესება და მიკერძოება საქმის მიმართ (Micaleff v. Malta, §94). სუბიექტური ტესტისაგან განსხვავებით, ობიექტური ტესტი აწესებს დამატებით გარანტიებს და აცილების წინაპირობებს განმარტავს უფრო ფართოდ. ობიექტური ტესტით შეფასებისას უნდა გაირკვეს რამდენად ქმნის სასამართლო და მისი შემადგენლობა საკმარის გარანტიას იმისათვის, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ლეგიტიმური ეჭვი მის მიკერძოებასთან მიმართებით. ობიექტურ ტესტთან დაკავშირებით აუცილებელია გაირკვეს, მოსამართლის ქცევის მიუხედავად რამდენად აქვს ადგილი ფაქტებს,

რომლებმაც შესაძლებელია წარმოშვას ეჭვები მოსამართლის მიუკერძოებლობასთან მიმართებაში (HAUSCHILDT v. Denmark, §48, Micaleff v. Malta, §96, PESCADOR VALERO v. Spain, §21).

მოსამართლის აცილების მიღებული კრიტერიუმია მისი მიკერძოებულობის თაობაზე საფუძვლიანი ეჭვის არსებობა. მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი აზრის არსებობის თაობაზე ვარაუდის საფუძველი დგინდება სხვადასხვა იურიდიული ფორმულების გათვალისწინებით, როგორებიცაა: „მომეტებული ალბათობა“, „რეალური შესაძლებლობა“, „დიდი ალბათობა“, ასევე „საფუძვლიანი ეჭვი“ მიკერძოების თაობაზე. მოსამართლის ქცევა ფასდება ჰიპოთეზური გარეშე დამკვირვებლის პოზიციიდან, რათა ხაზი გაესვას გამოყენებული კრიტერიუმის ობიექტურობას, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოსადმი საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნების აუცილებლობას და მოსამართლის მუშაობის მხოლოდ იმ შეფასებას არ ეყრდნობა, რომელიც სასამართლოს შემადგენლობაში შემავალ მის კოლეგებს შეეძლოთ გაეკეთებინათ.[1]

საქართველოს სსს კოდექსის 59-ე მუხლით გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებები. ამავე კოდექსის მე-60 მუხლის თანახმად თუ არსებობს სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოება, მან დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს თვითაცილება. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოსამართლე თვითაცილების შესახებ განცხადებას აკეთებს სასამართლოს თავმჯდომარესთან, ხოლო მე-4 ნაწილის თანახმად, თვითაცილების შესახებ განცხადება უნდა იყოს დასაბუთებული.

საქმეზე მოკვლეული გარემოებების ანალიზიდან დასტურდება, რომ არ არსებობს მოსამართლის მიერ წინასასამართლო სხდომაზე საქმის დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განხილვაში ეჭვის შეტანის საფუძვლები.

4.4. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება მოსამართლის მიერ ჩადენილი ქმედება, რომელიც არასაპატიო მიზეზით არსებითად არღვევს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადას. იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია დადგინდეს ნორმით განსაზღვრული სამი პირობის კუმულატიური არსებობა: ა) საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დარღვევა; ბ) დარღვევის არსებითი ხასიათი; გ) აღნიშნული დარღვევისთვის საპატიო მიზეზის არარსებობა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

აღნიშნული მსჯელობისთვის მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ საპროცესო ვადები ემსახურება მნიშვნელოვან ინტერესს - სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფას. აღნიშნული უფლება ვერ იქნება ეფექტურად უზრუნველყოფილი თუ საქმეების განხილვა არ ხორციელდება გონივრულ ვადაში და ექვემდებარება გაჭიანურებას, რამაც შეიძლება აზრი დაუკარგოს

[1] ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) 2006 წლის 27 ივლისის 2006/23 რეზოლუციის საფუძველზე შექმნილი ღია შემადგენლობის სამთავრობათაშორისო სამთავრობათაშორისო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ე.წ. „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ ოფიციალური კომენტარები. „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და მისი კომენტარები, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2015, გვ. 107 (81)

სამართლიანი სასამართლოს სხვა გარანტიების უზრუნველყოფას და თავისთავად სასამართლოსთვის მიმართვას უფლების დასაცავად.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. სასამართლო დაცვა ეფექტიანია, თუ პასუხობს სწრაფი/დროული, სამართლიანი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მოთხოვნებს. სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს გონივრულად მისაღებ ვადებში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, ვინაიდან მართლმსაჯულების გაუმართლებელი დაყოვნება ძირს უთხრის მისდამი საზოგადოების ნდობას. იმავდროულად, საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ვადა უნდა იძლეოდეს საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის ობიექტურ შესაძლებლობას. ამიტომ სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, საპროცესო ვადები მნიშვნელოვან ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება[2]. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დამატებით ხაზს უსვამს კანონმდებლის ვალდებულებას საპროცესო ვადები განსაზღვროს იმგვარად, რომ სწრაფი და დროული მართლმსაჯულების ინტერესთან ერთად, უზრუნველყოფილი იყოს საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. საქმის გონივრულ ვადაში გადაწყვეტასთან ერთად მართლმსაჯულების სათანადო განხორციელების ინტერესის უზრუნველყოფის ვალდებულებას ხაზს უსვამს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში მსჯელობისას.

აღნიშნული ინტერესების გათვალისწინებით, კანონმდებლობა სხვადასხვა ტიპის სამართალწარმოებისთვის და სხვადასხვა ინტერესის დასაცავად განსხვავებულ ვადებს ითვალისწინებს და რა უნდა ჩაითვალოს აღნიშნული ვადის არსებით დარღვევად თავად შესაბამისი საპროცესო ვადის და ამ ვადით დაცული ინტერესის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს. მაგალითად, აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისთვის დადგენილი ვადის არსებით დარღვევად დროის რამდენიმე საათიანი გადაცილება ჩაითვლება, როდესაც საქმის არსებითი განხილვისა და გადაწყვეტისთვის დადგენილი ვადის რამდენიმე თვიანი გადაცილებაც შეიძლება არ იყოს არსებითი. არსებითად უნდა ჩაითვალოს საპროცესო ვადის იმგვარი დარღვევა, რომელიც საფრთხეს უქმნის აღნიშნული ვადით დაცულ სამართლებრივ ინტერესს. შესაბამისად, დარღვევის „არსებითი“ ხასიათის დასადგენად, მნიშვნელოვანია, შეფასდეს საპროცესო კანონმდებლობის გადაცილების ხანგრძლივობა და შესაბამისი სამართალწარმოებით დაცული ინტერესი.

ამდენად საქმის განხილვის ვადის დარღვევის გადაცდომის არსებობის დასადგენად პირველ რიგში უნდა გაირკვეს აღნიშნული საქმის მიმართ რა საპროცესო ვადას ითვალისწინებდა კანონმდებლობა და მოხდა თუ არა ამ ვადის გადაცილება. მოცემულ საქმეზე მსჯელობისთვის მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საქმის განხილვის ვადები.

საკითხზე მსჯელობისათვის ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საპროცესო კანონმდებლობა არ ადგენს სს საქმის წინასასამართლო სხდომაზე განხილვის საპროცესო ვადას.

საქართველოს სსს კოდექსის 219-ე მუხლით განსაზღვრულია მოსამართლის მიერ წინასასამართლო სხდომაზე განსახილველი საკითხები და მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება არსებითი განხილვისთვის სს საქმის გადაცემა თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი

[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 3/1/531 გადაწყვეტილება

მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა.

არსებითი განხილვისათვის საქმის გადაცემის საკითხი ძირითადია, რაც უნდა გადაწყდეს წინასასამართლო სხდომაზე. სსს კოდექსის მე-3 მუხლის მე-12 ნაწილი ადგენს ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტს, რაც აუცილებელია საქმის არსებითად გადასაცემად. ამგვარი სტანდარტის საფუძველია სხდომაზე წარმოდგენილი ურთიერთშეთავსებადი და დამაჯერებელი მტკიცებულებები, რაც საკმარისია ვარაუდის მაღალი ხარისხისათვის, რომ დანაშაული სწორედ ამ პირმა ჩაიდინა.

სასამართლო ვალდებულია მაქსიმალურად გონივრულ ვადაში უზრუნველყოს საქმის მომზადება არსებითი სხდომისათვის, რათა დაცულ იქნეს პირის უფლება-გონივრულ ვადაში საქმის სასამართლო განხილვის თაობაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა განისაზღვრება შემდეგ გარემოებათა გათვალისწინებით:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grange v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Humen v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania, §150);
2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tierce and others v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

მაგალითისთვის, საქმეში Ciricosta and Viola v. Italy სასამართლომ მიიჩნია, რომ 15 წლის მანძილზე საქმის განხილვა არ წარმოადგენდა გონივრული ვადის მოთხოვნის დარღვევას, ვინაიდან 17-ჯერ თვით განმცხადებლებმა მოითხოვეს საქმის განხილვის გადადება და არ გამოუხატავთ წინააღმდეგობა 6-ჯერ მოწინააღმდეგე მხარის მიერ საქმის განხილვის გადადების მოთხოვნასთან დაკავშირებით.

4.4.1. საქმეზე დაინიშნა და ჩატარდა 10 სასამართლო სხდომა (2020 წლის 5 ოქტომბრიდან) და როგორც წესი, სასამართლო სხდომები ინიშნებოდა ყოველთვიურად, უმეტესწილად თვეში ორჯერ, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 15 სექტემბრის რეკომენდაციები და -- -- სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 4 დეკემბრის №37-ს ბრძანება „ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების თავიდან აცილების მიზნით -- -- სასამართლოში გასატარებელი ღონისძიებების გატარების შესახებ“, რომელიც აწესებდა ახალ რეგულაციებს სისხლის სამართლის საქმეთა განხილვასთან დაკავშირებით. კერძოდ, ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო -- -- სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლეთა მიერ მათ წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის გადადება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საქმეთა განხილვის ვადების გათვალისწინებით, გარდა შემჭიდროვებულ ვადებში განსახილველი საქმეებისა. აღნიშნული სს საქმე წარმოადგენს არასაპატიმრო საქმეს. მისი განხილვა მიმდინარეობს, როგორც დისტანციურად, ასევე სხდომათა დარბაზში მხარეთა დასწრებით.

სასამართლო სხდომები დაცვის მხარის მიზეზით გადაიდო 2 შემთხვევაში (ბრალდებულის ოჯახური მდგომარეობის გამო, დისტანციური პროცესის დროს ჩართვასთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემების გამო), ბრალდების მხარის მიზეზით - 2 შემთხვევაში (გაიხსნა სხდომა და გადაიდო პროკურორის გამოუცხადებლობის გამო სხვა სასამართლოში პროცესზე ყოფნის გამო), სასამართლოს მიზეზით - 1 შემთხვევაში (მოსამართლე იმყოფებოდა სხვა პროცესზე). უნდა აღინიშნოს, რომ წინასასამართლო სხდომათა გადადება და ასევე თარიღზე შეთანხმება ხდებოდა მხარეებთან შეთანხმებით და აღნიშნულთან დაკავშირებით მხარეებს პროცესზე პრეტენზია არ გამოუთქვამთ.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლე საპატიმრო საქმეების განხილვას უფრო მეტ ყურადღებას აქცევს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამას მოსამართლეს სსს კოდექსი ავალდებულებს, კერძოდ, საქართველოს სსს კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო ვალდებულია პრიორიტეტულად განიხილოს ის სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა.

4.4.2. საჩივრის ავტორი მიუთითებდა, რომ მოსამართლე დიდხანს უნდებოდა დაცვის მხარის შუამდგომლობების განხილვას, ექვსი თვის განმავლობაში მოსამართლეს არცერთი შუამდგომლობა არ ჰქონდა გადაწყვეტილი. ყოველი შუამდგომლობის დაყენებისას, მოსამართლე შუამდგომლობის გადაწყვეტის ნაცვლად დებს სხდომას გაურკვეველი დროით და აჭიანურებს მათ განხილვა/გადაწყვეტას. კერძოდ, საკითხი ეხება დაცვის მხარის მიერ დაყენებულ მოსამართლისა და პროკურორის აცილების შუამდგომლობის განხილვა-გადაწყვეტას.

საქართველოს სსს კოდექსის მე-64 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამოძიებისას დაყენებული აცილების შუამდგომლობა უნდა გადაწყდეს 24 საათში, ხოლო სასამართლო სხდომაზე დაყენებული შუამდგომლობა – დაუყოვნებლივ, სათათბირო ოთახში ან ადგილზე თათბირით. ამავე კოდექსის 93-ე მუხლის თანახმად, შუამდგომლობა შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი. წერილობითი შუამდგომლობა უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს. ზეპირი შუამდგომლობა შეტანილ უნდა იქნეს ოქმში. სასამართლოში საქმის განხილვისას შუამდგომლობა სასამართლოს უნდა წარედგინოს წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ახალი არსებითი გარემოების საფუძველზე შუამდგომლობას დააყენებს იმავე სასამართლო სხდომაზე. შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს, მასში კონკრეტულად უნდა იყოს გადმოცემული ჯერ მოთხოვნა და შემდეგ მოთხოვნის არგუმენტაცია და იგი უნდა ეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს შუამდგომლობაში დასმულ საკითხებთან.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ წინასასამართლო სხდომაზე, როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარის მიერ არაერთი შუამდგომლობა იქნა დაყენებული და გადაწყვეტილი.

რაც შეეხება დაცვის მხარის მიერ მოსამართლისა და პროკურორის აცილების შესახებ დაყენებული შუამდგომლობის განხილვა-გადაწყვეტას, 2020 წლის 22 დეკემბერს სხდომაზე მოსამართლემ გამოაცხადა შესვენება და სხდომა განაახლა სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მისაღებად გასვლის გარეშე და გადადო იმ მიზეზით, რომ ამ შუამდგომლობის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი იყო კონკრეტული ინფორმაცია და მტკიცებულება, რაზეც მიუთითებდა მხარე. მოსამართლემ მიიჩნია, რომ შუამდგომლობის გადაწყვეტა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც სასამართლოს ექნებოდა სრული ინფორმაცია გამახვილებული იყო აქცენტი და ასევე მოისმენდა მეორე მხარის პოზიციას. შესაბამისად დაცვის მხარეს დაევალა მტკიცებულებების წარმოდგენა და სხდომა გადაიდო 2020 წლის 29 დეკემბერს. მომდევნო სხდომაზეც ობიექტური მიზეზების გამო, ვერ შეძლო დაცვის მხარემ მტკიცებულების წარმოდგენა და სხდომა გადაიდო 2021 წლის 21 იანვარს. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ 21 იანვარს მას და მის ადვოკატს რამდენიმე საათიანი ლოდინის შემდეგ თანაშემწემ განუცხადა, რომ პროცესი აღარ ჩატარდებოდა, ვინაიდან მოსამართლე სხვა პროცესზე იმყოფებოდა. საქმის მასალიდან ჩანს, რომ 2021 წლის 21 იანვარს მოსამართლემ დაგვიანებით გახსნა სასამართლო სხდომა და მიუთითა მიზეზიც, კერძოდ, იხილავდა საპატიმრო საქმეს და პენიტენციური

დაწესებულებიდან ჩართვა გაჭიანურდა. 2021 წლის 26 თებერვალს მოსამართლის თანაშემწე დაუკავშირდა მხარეებს და აცნობა მომდევნო სხდომის გამართვის თარიღი 2021 წლის 11 მარტი, 17:00 საათი. 11 მარტის სხდომაზე პროკურორი არ გამოცხადდა, ვინაიდან ესწრებოდა სხვა პროცესს -- სააპელაციო სასამართლოში, მოსამართლემ სხდომა გადადო დამსწრე პირებთან შეთანხმებით. 2021 წლის 19 მარტის სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება დაცვის მხარის მიერ დაყენებულ აცილების შუამდგომლობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მართალია დარღვეულია შუამდგომლობის განხილვის საპროცესო ვადა, მაგრამ განსახილველ სისხლის სამართლის საქმეზე შუამდგომლობის განხილვის გადადებას გააჩნდა კონკრეტული საფუძვლები, კერძოდ, რომ არ დაირღვეს შეჯიბრობითობის პრინციპი და მხარეებმა წარმოადგინონ მოსაზრებები და მტკიცებულებები დაყენებულ შუამდგომლობებთან დაკავშირებით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება მოსამართლის მიერ ჩადენილი ქმედება, რომელიც არასაპატიო მიზეზით არსებითად არღვევს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადას. არასაპატიო მიზეზი გულისხმობს საპროცესო ვადის გადაცილების ობიექტური გარემოებების არარსებობას, რაც მიუთითებს მოსამართლის ბრალეულ ქმედებაზე - მოსამართლის მიერ ვალდებულებების არშესრულებაზე (მთლიანად ან ნაწილობრივ) და არა - ვერ შესრულებაზე, ანუ უნდა არსებობდეს მოსამართლის ვალდებულებების განზრახ ან გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობის ფაქტი. ვენეციის კომისიას ერთ-ერთ დასკვნაში აღნიშნული აქვს, რომ მხოლოდ ის გადაცდომები უნდა იწვევდეს დისციპლინურ პასუხისმგებლობას და შესაბამისად, დისციპლინურ სახდელს, რომლებიც ჩადენილია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით.[3]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინურ საქმეზე მოკვლეული ფაქტობრივი/სამართლებრივი გარემოებებისა შეფასების საფუძველზე,

[3] Avis n° 755 / 2014; CDL-AD(2014)006 Commission Européene pour la démocratie par le droit (Vommission de Venise), Direction des Droits de L'Homme (DDH) de la direction générale Droits de L'Homme et Etat de Droits du Conseil de L'Europe. Bureau des insritutions démocratiques et des Droits de L'Homme de l'osce (BIDDH/OSCE). Avis conjoint sur le projet de loi relatif a la responsabilité disciplinaire de juges de la République de Moldova, 19 et 35

დადასტურებულად არ მიიჩნია მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 წევრმა ხმა მისცა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75[12] მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №24/21 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი